„ვამტკიცებ“

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის

პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე

“25“ ----01---------- 2022 წ.

”ნანა იოსელიანის საიუბილეო თასი-2022”

9 - 12 თებერვალი 2022 წ.

ქ. თბილისი, ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლე, კოსტავას 37ა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორები:

1.1. საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.

2. ტურნირები:

ტურნირებში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრებს.

1. ღია ტურნირი
2. ქალთა ტურნირი
3. ბავშვთა ტურნირები: ტარდება 6 ტურნირი.

9 წლამდე ასაკის გოგონებს შორის (2013 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულნი);
9 წლამდე ასაკის ჭაბუკებს შორის (2013 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულნი);
11 წლამდე ასაკის გოგონებს შორის (2011 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულნი);
11 წლამდე ასაკის ჭაბუკებს შორის (2011 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულნი);
13 წლამდე ასაკის გოგონებს შორის (2009 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულნი);
13 წლამდე ასაკის ჭაბუკებს შორის (2009 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულნი);

3. მონაწილენი:

1. ღია ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ ფიდეს რეიტინგით 2200 და მეტი, ასევე ფიდეს წოდებიან მოჭადრაკეებს;

2. ქალთა ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ ფიდეს რეიტინგით 2000 და მეტი, ასევე ფიდეს წოდებიან მოჭადრაკეებს;

ბავშვთა ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ:

- 9 წლამდე ასაკის ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ 2021 წლის საქართველოს 8 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა ჩემპიონატებში 1-20 ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს;
- 11 წლამდე ასაკის ტურნირში ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ 2021 წლის საქართველოს 10 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა ჩემპიონატებში 1-20 ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს;
- 13 წლამდე ასაკის ტურნირში ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ 2021 წლის საქართველოს 12 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა ჩემპიონატებში 1-20 ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს;
- საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ნომინაციით.

3. ღონისძიების მართვა:

3.1. საჭიროების შემთხვევაში ტურნირის დებულებაში ცვლილებების შეტანის უფლება აქვს ღონისძიებების სუპერვაიზერს(ღონისძიებების მართვის ხელმძღვანელი).

4. სათამაშო წესები:

4.1. დროის კონტროლი: ღია და ქალთა ტურნირში -3 წუთი პარტიის ბოლომდე, 2 წამის დამატებით ყოველ სვლაზე. ბავშვთა ტურნირებში -10 წუთი პარტიის ბოლომდე, 2 წამის დამატებით ყოველ სვლაზე.

4.2. ღია და ქალთა ტურნირი: ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით, 9 ტურად.
ბავშვთა ტურნირები: ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით, 7 ტურად.

4.3. ტურნირებში ფიდეს რეიტინგი დაითვლება.

5. რეგისტრაცია:

5.1. ტურნირებში მონაწილეობის უფლების მქონე მოჭადრაკეებმა თავიანთი მონაწილეობა უნდა დაადასტურონ 2022 წლის 9 თებერვლის 18:00 საათამდე.
ნატა ალავიძესთან: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83 ;
მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა -
ღია და ქალთა ტურნირებში - https://forms.gle/JZBc9nc5fuVqJDnQ9
ბავშვთა ტურნირებში - https://forms.gle/gctgyoV9xncMkgew6

5.2. მონაწილეთა ცხოვრების, კვების და გზის თანხებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

6. ტურნირების განრიგი:

ღია და ქალთა ტურნირი:

ტური	რიცხვი	ღია და ქალთა ტურნირი
ჩამოსვლის / რეგისტრაციის დღე	9 თებერვალი	
გახსნა	12 თებერვალი	14:30
I - IX ტური	12 თებერვალი	15:00
დახურვა	12 თებერვალი	18:00

ბავშვთა ტურნირი:

ტური	რიცხვი	ბავშვთა ტურნირი ჭაბუკები-9,11,13 წ.წ.	ბავშვთა ტურნირი გოგონები-9,11,13 წ.წ.
ჩამოსვლის / რეგისტრაციის დღე	9 თებერვალი		
გახსნა (ჭაბუკები-9,11,13 წ.წ.)	10 თებერვალი	14:30	
I - VII ტური (ჭაბუკები-9,11,13 წ.წ.)	10 თებერვალი	15:00	
გახსნა (გოგონები-9,11,13 წ.წ.)	11 თებერვალი		14:30
I - VII ტური (გოგონები-9,11,13 წ.წ.)	11 თებერვალი		15:00
დახურვა	12 თებერვალი	18:00	18:00

7. გამარჯვებულების გამოვლენა:

7.1. ყველა ტურნირში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

ა) ურთიერთშორის შეხვედრა;
ბ) ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
გ) ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
დ) შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;
ე) მოგებების მეტი რაოდენობით.

8. დაჯილდოება:

8.3. ყველა ტურნირში:

I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან ნანა იოსელიანის სახელობის თასებით, მედლებით, დიპლომებით და ფულადი პრიზებით;

II - III ადგილზე გასულები დაჯილდოვდებიან მედლებით, დიპლომებით და ფულადი პრიზებით.

9. საპრიზო ფონდი:

9.1. ღია და ქალთა ტურნირში - 5600 ლარი:

ტურნირი	1	2	3	4	5
ვაჟები	1000	800	500	300	200
ქალები	1000	800	500	300	200

9.2. ბავშვთა ტურნირში - 2700 ლარი:

	ჭაბუკები -9 წ.	გოგონები -9 წ.	ჭაბუკები -11 წ.	გოგონები -11 წ.	ჭაბუკები -13 წ.	გოგონები -13 წ.
1	200	200	200	200	200	200
2	150	150	150	150	150	150
3	100	100	100	100	100	100

- ყველა პრიზი დაიბეგრება საქართველოში მოქმედი ფინანსური კანონმდებლობის შესაბამისად;
- თანაბარი ქულების შემთხვევაში პრიზები არ გაიყოფა.
- პრიზების მისაღებად სავალდებულოა დახურვაზე დასწრება.

10. საერთო წესები:

- ღია და ქალთა ტურნირში ტურზე დაგვიანების დრო – 3 წუთი.
- ბავშვთა ტურნირში ტურზე დაგვიანების დრო – 10 წუთი.
- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 5 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში. მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.
- კოვიდ - 19 -თან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის გამო მონაწილეთა, მსაჯთა და ორგანიზატორთა ვალდებულებები რეგულირდება დანართი 1 -ით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

ტურნირის მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი -მარგალიტა თანდაშვილი